**06 03 05 ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება** განისაზღვრა 25,4 ათასი ლარით და ათვისებულია სრულად. ლეიკემიით დაავადებულთა დახმარება წლიურად განსაზღვრულია 600 ლარით. მოსარგებლეა 3 ბენეფიციარი, ხოლო დიალიზის პროგრამაში ჩართული იყო 13 მოქალაქე, რომელთაც ყოველთვიურად გაეწიათ 150 ლარიანი დახმარება. გასულ წელთან შედარებით ოდნავ შემცირდა დახმარება რამდენიმე ბენეფიციარის გარდაცვალების გამო.

**06 03 06 მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება,** რომლის მოსარგებლეა 4 და მეტი შვილიანი ოჯახი. დახმარება შეადგენდა თითოეულ ბავშვზე 50 ლარს. ქვეპროგრამით ისარგებლა 47 ოჯახმა, დახარჯულია 10,7 ათ. ლარი.

**06 03 07 მარტოხელა მშობლების დახმარება.** ბიუჯეტი განისაზღვრა 2,2 ათ. ლარით, დახარჯულია სრულად და ისარგებლა 11 ბენეფიციარმა. დღევანდელი კანონმდებლობიდან გამომდინარე ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სტატუსის მიღება გართულებულია, სავარაუდოდ მუნიციპალიტეტში გაცილებით მეტი მარტოხელა მშობელი ცხოვრობს.

**06 03 08 მარჩენალდაკარგულთა დახმარება.** დახმარების მიმღებია 21 წლამდე ასაკის დედით ან მამით ობოლი ბავშვები, რომელთაც მუნიციპალიტეტიდან ეძლევათ ერთჯერადად ფინანსური დახმარება 100 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამით ისარგებლა 20 ბენეფიციარმა და დახარჯულია 4,4 ათ. ლარი.

**06 03 09 ყოველთვიური დახმარების პროგრამის** ბენეფიციარები არიან სამამულო ომის ვეტერანები, უსინათლოები და დევნილები. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 36,0ათ. ლარს, რომელიც სრულად იქნა ათვისებული. და სარგებლობს 97 მოქალაქე.

**06 03 10 საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება.** დახმარების მიმღებია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულის ოჯახის წევრი, რომელსაც პირველი რიგის მემკვიდრე არ ყავს და რომელზეც არ ვრცელდება „ომისა და სამხედრო ძალების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის კრიტერიუმები. დახმარება განისაზღვრება 2000 ლარით, მოსარგებლეა 4 ბენეფიციარი და კიდევ დახმარება გაეწია 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ მეომრის ერთ ოჯახს 500 ლარით. საანგარიშგებო წელს გაიცა 8,5 ათასი ლარი.

**06 03 11 ხანდაზმულთა დახმარება.** დახმარების მიმღებია 100 წელს გადაცილებული მოქალაქე. მუნიციპალიტეტში გვყავს 3 ბენეფიციარი. დახმარება განისაზღვრება 500 ლარით. შესაბამისად, დახარჯულია 1,5 ათ. ლარი.

**06 03 12 სადღესასწაულო დღეების დახმარება,** რომელიც მოიცავს სადღესასწაულო დღეებში მოწყვლადი ჯგუფების დახმარებას. აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით 407 უკიდურესად გჭირვებულ ოჯახს გაეწია

დახმარება, გარდა ამისა სხვადასხვა სხვადასხვა სადღესასწაულო თარიღთან დაკავშირებით დახმარება გაიცა შესაბამისი კატეგორიის 22 ბენეფიციარზე. გეგმით გათვალისწინებული 54,0 ათ. ლარიდან დაიხარჯა 52,8 ათ. ლარი.

**06 03 13 სოციალურად დაუცველი ან უპატრონო გარდაცვლილის ოჯახის დახმარება;** დახმარება მიეცემა 65 000 ქულამდე სოც. დაუცველ ან უპატრონო მიცვალებულის ოჯახს. ამ მიმართულებით დახარჯულია 10,8 ათ. ლარი და ისარგებლა 53 ოჯახმა.

**06 03 14 უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების სათბობო მასალით (შემა) დახმარების პროგრამა,** პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია დაბაში და სოფლად მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს სათბობი მასალით. პროგრამა გარდამავალია მოიცავს 2021 -2022 წლების ზამთრის სეზონს. 2021 წლის ბოლოს დაიხარჯა 9,975 ათასი ლარი და ისარგებლა 70 ბენეფიციარმა. დახმარება გაგრძელდა 2022 წელსაც და ჯამში სეზონზე შესაბამისად დაიხარჯება 30,0 ათასი ლარი.

**06 03 15 ახალშობილთა ოჯახების დახმარება.** პირველი ბავშვის შეძენისას ოჯახისათვის გაწეული დახმარება შეადგენს 100 ლარს, მეორე ბავშვის შეძენის შემთხვევაში\_150 ლარს, მესამე\_200 ლარს, მეოთხე\_250 ლარს, მეხუთე\_300 ლარს და ყოველი მომდევნო ბავშვის შეძენისას თანხა იზრდება 50 ლარით. ტყუპების შეძენის შემთხვევაში თანხა განისაზღვრება 500 ლარით. სამი და მეტი ტყუპის შეძენის შემთხვევაში დახმარება განისაზღვრება 1500 ლარით. წლის განმავლობაში 115 ახალშობილის ოჯახზე გაწეული დახმარება შეადგენს 20,0 ათ. ლარს. სამწუხაროდ ბოლო წლების მონაცემებით იკლო დახმარების მიმღებთა რაოდენობამ.

**06 03 16 ომის ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვა დაკრძალვის ხარჯი** შეადგენს 250 ლარს და ამ მიმართულებით დახარჯულია 1,0 თ. ლარი. გარდაცვლილია ოთხი ბენეფიციარი. მ. შ. ერთი დევნილი.

**06 03 17 სტიქიური მოვლენების, ხანძრის შედეგად დაზარალებულთა და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა მატერიალური დახმარება** მოიცავს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა დახმარებას და უსახლკარო პირთა და ძალადობის მსხვერპლთა მინიმალური საცხოვრებელი უზრუნველყოფას. 2021 წელს ბინის ქირით უზრუნველყოფით 5 მოქალაქეს, თვეში საშ. 150 ლარის ოდენობით. ამ მიმართულებით დახარჯულია 6,1 ათ. ლარი. ხოლო სტიქიის შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე 152 ოჯახზე გაწეული დახმარება შეადგენს 156,7 თ. ლარს, მ. შ. სარეზერვო ფონდიდან 28,0 ათ. ლარი. ჯამში ქვეპროგრამით დახარჯულია 162,880 ათ. ლარი.

**06 03 18 უფასო სასადილოს დაფინანსება** გეგმა შეადგენდა 129,0 ათ. ლარს. გაწეულია 128,7 ათ. ლარის ხარჯები. პროგრამის მიზანია უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა , მრავალშვილიანი ოჯახების საკვებ პროდუქტებზე ხელმისაწვდომობა, შიმშილის ნაწილობრივ ან სრულად აღმოფხვრა.

**06 03 19 სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.** გეგმა - 5,0 ათ. ლარი. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2020 წელს ევროკავშირის დაფინანსებით დაიწყო ბავშვთა ადრეული განვითარების მომსახურების დანერგვა. ამ მიზნით გაფორმდა სამმხრივი მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 8 პედაგოგი, მომზადდა ადაპტირებული გარემო ჯგუფური მეცადინეობებისათვის. პროექტის მიხედვით 2021 წ. მუნიციპალიტეტმა შეძლო ჯგუფური თერაპიის სერვისის და მეტყველების თერაპევტის მომსახურების ღირებულების დაფინანსება, რომლის მიზანია ბავშვთა ადრეული განვითარების სერვისის დანერგვა და მოწყვლადი კატეგორიის ბავშვების ამ სერვისზე გეოგრაფიული წვდომა, პროგრამას ახორციელებს სოციალური გავითარების ცენტრი „ თაირისი“ , რომელზეც 2021 წელს გაიცა 3,0 ათასი ლარის სუბსიდია. ქვეპროგრამით მოსარგებლეა მუნიციპალიტეტში მცხოვრები 30 ბავშვი.

**06 03 20 გადაუდებელი რეაგირების პროგრამა,** რომლის მიზანია კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების გადაუდებელი პირველადი მხარდაჭერა, რომლის მეშვეობითაც ოჯახმა კრიზისი უნდა დაძლიოს მოკლე დროში.

ამ პროგრამით დაგეგმილი 10,0 ათასი ლარიდან ათვისებულია 5,0 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა 2 ბენეფიციარის დაფინანსებას.

**06 03 20 ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დასმარების პროგრამა** ქვეპროგრამის მოსარგებლეა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, რომელსაც ესაჭიროება დახმარება და მოკლებულია შესაძლებლობას, ისარგებლოს სხვა მუნიციპალური პროგრამით. დახმარება განისაზღვრება ერთჯერადად არაუმეტეს 500 ლარისა. ამ პროგრამაზე დახარჯულია 12,1 ათასი ლარი და ისარგებლა 50 ბენეფიციარმა

**მმართველობა და საერთო დანიშნულება - პროგრამული კოდი 01 00**

მუნიციპალიტეტმა დაგეგმილი 2 800,6 ათასი ლარიდან გაწია 2 427,5 ათასი ლარი, 86,7 % წინა 2020 წელთან შედარებით 128,5 ათასი ლარით მეტი.

**ცხრ. N 9**

| ორგ. კოდი | ხარაგაულის მუნიციპალიტეტი                                                                                             | 2020 წლის ფაქტი |                   |                      | 2021 წლის გეგმა |                  |                      | 2021 წლის ფაქტი |                   |                      | %    | სხვაბა 2021 წლის გეგმასა ფაქტ შორის ღირებში | სხვაობა 2020 წლს დ 2021 წლის ფაქტს შორის |
|-----------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------|-------------------|----------------------|-----------------|------------------|----------------------|-----------------|-------------------|----------------------|------|---------------------------------------------|------------------------------------------|
|           |                                                                                                                       | სულ             | მათ შორის         |                      | სულ             | მათ შორის        |                      | სულ             | მათ შორის         |                      |      |                                             |                                          |
|           |                                                                                                                       |                 | სახ. ბიუჯ. ფინ დი | საკუთარი შემოსავლები |                 | სახ. ბიუჯ. ფინდი | საკუთარი შემოსავლები |                 | სახ. ბიუჯ. ფინ დი | საკუთარი შემოსავლები |      |                                             |                                          |
| 01 00     | მმართველობა და საერთო დანიშნულება                                                                                     | 2 299,0         | 64,5              | 2 234,5              | 2 800,6         | 67,1             | 2 733,6              | 2 427,5         | 55,6              | 2 371,9              | 86,7 | -373,2                                      | 128,5                                    |
| 01 01     | საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება                                                                 | 2 215,1         | 64,5              | 2 150,6              | 2 713,9         | 67,1             | 2 646,8              | 2 350,2         | 55,6              | 2 294,6              | 86,6 | -363,7                                      | 135,1                                    |
| 01 01 01  | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო                                                                                  | 601,5           | 0,0               | 601,5                | 697,5           | 0,0              | 697,5                | 599,6           | 0,0               | 599,6                | 86,0 | -97,9                                       | -1,9                                     |
| 01 01 02  | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია                                                                                      | 1 536,4         | 0,0               | 1 536,4              | 1 926,2         | 1,1              | 1 925,1              | 1 682,4         | 0,0               | 1 682,4              | 87,3 | -243,8                                      | 146,0                                    |
| 01 01 03  | სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური                                                                             | 73,9            | 64,5              | 9,5                  | 80,2            | 66,0             | 14,2                 | 67,3            | 55,6              | 11,8                 | 83,9 | -12,9                                       | -6,6                                     |
| 01 01 04  | კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი                     | 3,3             | 0,0               | 3,3                  | 10,0            | 0,0              | 10,0                 | 0,9             | 0,0               | 0,9                  | 8,6  | -9,1                                        | -2,4                                     |
| 01 02     | საერთო დანიშნულების ხარჯები                                                                                           | 83,8            | 0,0               | 83,8                 | 86,7            | 0,0              | 86,7                 | 77,3            | 0,0               | 77,3                 | 89,1 | -9,5                                        | -6,6                                     |
| 01 02 01  | სარეზერვო ფონდი                                                                                                       | 0,0             | 0,0               | 0,0                  | 8,7             | 0,0              | 8,7                  | 0,0             | 0,0               | 0,0                  | 0,0  | -8,7                                        | 0,0                                      |
| 01 02 02  | წინაპერიოდში წარმოქმნილი და ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა | 0,0             | 0,0               | 0,0                  | 0,4             | 0,0              | 0,4                  | 0,0             | 0,0               | 0,0                  | 0,0  | -0,4                                        | 0,0                                      |
| 01 02 03  | მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა                                                                 | 83,8            | 0,0               | 83,8                 | 77,6            | 0,0              | 77,6                 | 77,3            | 0,0               | 77,3                 | 99,6 | -0,3                                        | -6,6                                     |

აქედან მუნიციპალიტეტის საკრებულო დაგეგმილი 697,5 ათასი ლარიდან დაფინანსდა 599,6 ათასი ლარით, 86%; მუნიციპალიტეტის მერია 1 926,2 ათასი ლარიდან 1 682,4 ათასი ლარით, 87,3 % და სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხარჯების დაფინანსებაზე დაიხარჯა 67,3 ათასი ლარი, მ.შ. 55,6 ათ. ლარი მიზნობრივი ტრანსფერით და 11,8 ათასი ლარი საკ. სახსრებით. მერიასა და სამხედრო აღრიცხვის სამსახურის დაგეგმილ ხარჯებში გაწული ეკონომია ძირითადად გამოწვეულია ვაკანტური თანამდებობებზე გაუცემელი ხელფასებით. ასევე მერიასა და საკრებულოში არაფინანსური აქტივების ზრდის ხარჯებში დაგეგმილი ავტომობილების შეძენის ხარჯები არ გაწეულა.

**მუნიციპალიტეტის 2021 წლის წლიური სარეზერვო ფონდიდან** მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის განკარგვის მიზნით შექმნილი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე მერის ბრძანებით განაწილებულია 43 281 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად სოციალურ პროგრამებზე მიიმართა. მ.შ.

- 9,681 ათ. ლარი სამკურნალო-საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამაში;

- 5,6 ათ. ლარი მიმართული იქნა ერთჯერად დახმარებაში;

- 28,0 ათასი ლარი სტიქიური მოვლენების, ხანძრის შედეგად დაზარალებულთა და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა მატერიალური დახმარება

**.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპების და სსიპ-ის 2021 წლის ნაერთი ბიუჯეტის შესრულება.**

ცხრ. N 11

|   | ა(ა)იპების დასახელება                                             | მომუშავეთა რაოდენობა | 2021 წლის დამტკიცებული გეგმა | 2021 წლის ფაქტობრივი გეგმა | 2021 წლის შესრულება | მათშორის           |                                  |                        |                             | სკუარში შემოსავლები გეგმით |                    |              | სკუარში ფაქტურად |                    |              |
|---|-------------------------------------------------------------------|----------------------|------------------------------|----------------------------|---------------------|--------------------|----------------------------------|------------------------|-----------------------------|----------------------------|--------------------|--------------|------------------|--------------------|--------------|
|   |                                                                   |                      |                              |                            |                     | შრომის ანაზღაურება | შტატარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | სხვა დანარჩენი ხარჯები | არაფინანსური აქტივების ზრდა | სულ                        | მ.შ                |              | სულ              | მ.შ                |              |
|   |                                                                   |                      |                              |                            |                     |                    |                                  |                        |                             |                            | შრომის ანაზღაურება | სხვა ხარჯები |                  | შრომის ანაზღაურება | სხვა ხარჯები |
| 1 | სულ(ა)იპ დასუფავებისა და კეთილშეწყობის გაერთიანება მ. შ.          | 183                  | 1295,0                       | 1398,2                     | 1357,3              | 871,2              | 0,0                              | 435,4                  | 50,8                        | 6,6                        | 0,0                | 6,6          | 6,6              | 0,0                | 6,6          |
|   | გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია                                | 11                   | 170,0                        | 232,2                      | 227,4               | 64,1               | 0,0                              | 163,3                  | 0,0                         | 0,0                        | 0,0                | 0,0          | 0,0              | 0,0                | 0,0          |
|   | დასუფავება და ნარჩენების გატანა                                   | 134                  | 945,0                        | 976,4                      | 941,0               | 637,2              | 0,0                              | 253,1                  | 50,8                        | 6,6                        | 0,0                | 6,6          | 6,6              | 0,0                | 6,6          |
|   | მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა                                 | 38                   | 172,0                        | 179,2                      | 178,7               | 169,9              | 0,0                              | 8,8                    | 0,0                         | 0,0                        | 0,0                | 0,0          | 0,0              | 0,0                | 0,0          |
|   | უბატონოცხოველების იზოლაცია                                        |                      | 8,0                          | 10,4                       | 10,3                |                    | 0,0                              | 10,3                   | 0,0                         | 0,0                        | 0,0                | 0,0          | 0,0              | 0,0                | 0,0          |
| 2 | ა(ა)იპ ე.კიკნაძის სახელობის სკოლმდელ დაწესებულებათა გაერთიანება   | 263                  | 1580,0                       | 1559,5                     | 1531,2              | 1192,8             | 0,0                              | 285,3                  | 53,1                        | 0,0                        | 0,0                | 0,0          | 0,0              | 0,0                | 0,0          |
| 3 | სსიპ ბორის სკოლ პანსიონი                                          | 20                   | 80,0                         | 84,0                       | 84,0                | 76,4               | 0,0                              | 7,6                    | 0,0                         | 0,0                        | 0,0                | 0,0          | 0,0              | 0,0                | 0,0          |
| 4 | ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი                               | 24                   | 110,0                        | 111,5                      | 111,5               | 106,7              | 0,0                              | 4,8                    | 0,0                         | 1,2                        |                    | 1,2          | 1,2              | 0,0                | 1,2          |
| 5 | ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტერიტორიის ცენტრი                         | 66                   | 376,0                        | 376,0                      | 374,0               | 339,5              | 0,0                              | 34,3                   | 0,2                         | 9,7                        | 0,0                | 9,7          | 7,9              | 0,0                | 7,9          |
| 6 | ა(ა)იპ შ.ზუგდიძის სამუსიკოსკოლი                                   | 18                   | 125,0                        | 125,0                      | 122,1               | 119,2              | 0,0                              | 2,9                    | 0,0                         | 5,1                        | 0,0                | 5,1          | 4,7              | 0,0                | 4,7          |
| 7 | ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრი                             | 123                  | 653,0                        | 674,0                      | 671,7               | 601,8              | 14,4                             | 44,4                   | 11,1                        | 0,9                        |                    | 0,9          | 0,9              |                    | 0,9          |
| 8 | ა(ა)იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი | 6                    | 50,0                         | 59,0                       | 59,0                | 43,8               | 0,0                              | 15,2                   | 0,0                         | 0,0                        | 0,0                | 0,0          | 0,0              | 0,0                | 0,0          |
| 9 | ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი                  | 26                   | 130,4                        | 151,4                      | 151,2               | 123,1              | 4,5                              | 20,4                   | 3,2                         | 75,7                       | 68,7               | 7,0          | 75,7             | 68,7               | 7,0          |

|    | ა(ა)იპების დასახელება          | მომუშავეთა რაოდენობა | 2021 წლის დამტკიცებული გეგმა | 2021 წლის დაზუსტებული გეგმა | 2021 წლის შესრულება | მათშორის           |                                  |                        |                             | სკუარო შემოსავლები გეგმით |                    |              | სკუარო ფქტუალად |                    |              |
|----|--------------------------------|----------------------|------------------------------|-----------------------------|---------------------|--------------------|----------------------------------|------------------------|-----------------------------|---------------------------|--------------------|--------------|-----------------|--------------------|--------------|
|    |                                |                      |                              |                             |                     | შრომის ანაზღაურება | შტატარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | სხვა დანარჩენი ხარჯები | არაფინანსური აქტივების ზრდა | სულ                       | მ.შ                |              | სულ             | მ.შ                |              |
|    |                                |                      |                              |                             |                     |                    |                                  |                        |                             |                           | შრომის ანაზღაურება | სხვა ხარჯები |                 | შრომის ანაზღაურება | სხვა ხარჯები |
| 10 | ა(ა)იპ საბჭოს სახლი            | 8                    | 107,0                        | 129,0                       | 128,7               | 57,6               | 0,0                              | 69,1                   | 2,0                         | 0,0                       | 0,0                | 0,0          | 0,0             | 0,0                | 0,0          |
|    |                                | 737                  | 4506,4                       | 4667,6                      | 4590,7              | 3532,0             | 19,0                             | 919,4                  | 120,3                       | 99,2                      | 68,7               | 30,5         | 96,9            | 68,7               | 28,3         |
| 11 | სსიპ სახელმწიფო ფულდრის ცენტრი | 2                    | 20,7                         | 20,7                        | 20,7                | 20,7               | 0,0                              | 0,0                    | 0,0                         | 0,0                       | 0,0                | 0,0          | 0,0             | 0,0                | 0,0          |
|    | სულ                            | 739                  | 4527,1                       | 4688,3                      | 4611,4              | 3552,7             | 19,0                             | 919,4                  | 120,3                       | 99,2                      | 68,7               | 30,5         | 96,9            | 68,7               | 28,3         |

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება ცხრა ა(ა)იპ და ორი სსიპ, რომლებიც ახორციელებენ თოთხმეტ საბიუჯეტო პროგრამას, აქედან ათი იმყოფება სუბსიდირებაზე, ხოლო ერთი იმყოფება საგრანტო დაფინანსებაზე.

2021 წლის ბიუჯეტით მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებისათვის გადასაცემი სუბსიდია განისაზღვრებოდა 4 667,6 ათასი ლარი, ფაქტიურად ა(ა)იპებს მიღებული აქვთ 4 590,7 ათ. ლარის სუბსიდია და 99,2 ათასი ლარის საკუთარი შემოსავლები.

ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების დაფინანსება 1 295,0 ათასი ლარი გაიზარდა 103,2 ათ. ლარით და განისაზღვრა 1 398,2 ათასი ლარით, გაზრდა შეეხო ა(ა)იპ-ის მიერ განხორციელებულ ოთხივე პროგრამას, თუმცა ყველაზე მეტად გაიზარდა გარე განათების ქსელის ექსპლუატაციის ხარჯები, ელექტროენერგიაზე მომატებული ტარიფის გამო. ფაქტიურად ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების მიერ გაწულია 1 357,3 ათასი ლარის ხარჯი, აქედან 871,2 ათასი ლარი შრომის ანაზღაურებას მოხმარდა, 50,8 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების ზრდაზე იქნა მიმართული ხოლო 435,4 ათასი ლარი დანარჩენ ხარჯებზე. ასევე საკუთარი შემოსულობები 6,6 ათასი ლარი მთლიანად მოხმარდა დანარჩენ ხარჯებს.

„დასუფთავება და ნარჩენების გატანა“ პროგრამის მიზანი არის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვება და გატანა თერჯოლის მუნიციპალიტეტის ნაგავსაყრელზე, ჩვენი მუნიციპალიტეტიდან ყოველდღიურად გაედინება 30-35 მ³ საყოფაცხოვრებო ნარჩენი რომელსაც ემსახურება 4 ერთეული ნაგავშიდი სპეცავტომანქანა. ოთხი მძღოლი, 8 მტვირთავი მუშა, 14 დაბაში მომუშავე მეეზოვე და სოფლის გზებზე 35 მეზოვე. 2021 წელს ამ პროგრამაზე ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით დახარჯულია 941,0 ათ. ლარი, ხოლო საკ. სახსრებით 6,6 ათ. ლარი. აქედან ხელფასების სახით გაიცა 134 თანამშრომელზე 637,2 ათ. ლარი. საოფისე ხარჯებმა შეადგინა 9,9 ათ. ლარი. შეძენილი იქნა 7,6 ათასი ლარის სპეცტანსაცმელი, სატრანსპორტო ხარჯებში დაიხარჯა 135,9 ათასი ლარი. სხვა დანარჩენი სახელშეკრულებო და დებულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებას მოხმარდა 73,9 ათ. ლარი. არაფინანსური აქტივების ზრდაზე დახარჯული 50,8 ათასი ლარი, კერძოდ შეძენილია 104 ცალი 100 ლიტრიანი ნარჩენების შემგროვებელი კონტეინერი და ერთი ცალი პერსონალური კომპიუტერი.

„გარე განათების ექსპლუატაცია“ პროგრამის მიზანი არის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება. გარე განათების სისტემები მოწყობილია დაბის, პატარა ხარაგაულისა და 17 ტერიტორიული ერთეულის სოფელში. დაფარულია ჩვენი მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის

65%-ი. აღნიშნული სისტემა მოიცავს 2,6 ათასზე მეტ საყრდენ ბოძს, 3,0 ათასამდე სანათ წერტილს და 65,0 ათას გრძელ მეტრ ელექტრო სადენს(კაბელი). 2021 წლის ფაქტიური ხარჯი შეადგენს 227,4 ათას ლარს, პროგრამის დაფინანსებისას მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდება ყოველდღიურად მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ანაზღაურებას, რომელმაც საანგარიშო წელს შეადგინა 107,8 ათასი ლარი, 11 თანამშრომლის შრომის



ანაზღაურებას 64,1 ათ. ლარი, და გარე განათების ქსელისათვის სხვადასხვა საჭირო ინვენტარისა და მასალის შეძენას 55,5 ათასი ლარი.

**„მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა“** პროგრამის მიზანი არის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. გასულ წელს დაბის ტერიტორიაზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებმა ხელი შეუშალა ამ პროგრამის სრულყოფილად განხორციელებას, თუმცა სკვერებში დაირგო 3,0 ათასი ძირი ყვავილოვანი მცენარე. პროგრამა დაფინანსა 178,7 ათასი ლარით, საიდანაც 38 თანამშრომელზე გაიცა შრომის ანაზღაურება 169,9 ათასი ლარი, სხვადასხვა სათესლე და სანერგე მასალის შესაძენად დახარჯულია 8,8 ათასი ლარი.

**„უპატრონო ცხოველების მოვლის ღონისძიებები“** -ს მიზანია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანილი მიუსაფარი ძაღლების ოდენობა, მათი მკურნალობის სტერილიზაციის და შემდგომი დამუშავების მიზნით. ამ პროგრამის განსახორციელებლად ორჯერ ჩატარებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გადაყვანილია 73 ერთეული მიტოვებული ძაღლი. პროგრამის ეფექტურად განსახორციელებლად მეზობელ მუნიციპალიტეტებთან ერთად მოსაძებნია გზა ალტერნატიული თავშესაფარის მოსაწყობად.

**„ა(ა)იპ სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება“** აღნიშნული ა(ა)იპ ახორციელებს ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა.

ა(ა)იპ-ის 2021 წლის კუთვნილი ხარჯებიდან 20,5 ათასი ლარი გადატანილი იქნა ხუნევის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო სამუშაოების შესაძენად. საბოლოოდ მისი ბიუჯეტი განესაზღვრა 1 559,5 ათასი ლარით, ხოლო ფაქტურად დახარჯა 1 531,2 ათასი ლარი, აქედან გაერთიანებაში დასაქმებულ 263 თანამშრომლის ხელფასებზე 1 192,8 ათასი ლარი, 2021 წლის განმავლობაში 540 ბავშვის სამჯერად კვებაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 120,7 ათასი ლარი, მ. შ. მოხდა პანდემიის გამო მარტსა და ნოემბრის თვეში გაცემულ საკვები პროდუქტებისა და საახალწლოდ ტკბილეულის შეძენა. 53,1 ათასი ლარი დაიხარჯა არაფინანსური აქტივების ზრდაზე, შეძენილი იქნა მაცივრები, კვების ბლოკისათვის საჭირო ელექტროქურები, სარეცხი მანქანები და სხვადასხვა ავეჯი და ინვენტარი. ყველა სხვა სახის დანარჩენ ხარჯების გაწევაზე 164,6 ათასი ლარი დაიხარჯა.

**სსიპ ბორის საჯარო სკოლა- „პანსიონი“** არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ბავშვებს სთავაზობს პანსიონურ მომსახურებას და გულისხმობს მოსწავლეების უზრუნველყოფას ღამის გათვით, კვებით და მკურნალობით, ასევე აუცილებელი ჰიგიენის ნივთებით და ტანსაცმლით. ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით სკოლა იზიდავს არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც სკოლაში სკოლის პანსიონური ტიპიდან გამომდინარე შემოდის და სკოლაში დამრჩენი 16 ბავშვის გარდა, სკოლის ყველა მოსწავლეს უწევს დახმარებას. ღამე გათვით ბავშვები სარგებლობენ სამჯერადი კვებით. 2021 წელს პანსიონური მომსახურებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 84,0 ათასი ლარის სუბსიდია, რომელიც სრულად იქნა ათვისებული, აქედან, 76,4 ათ. ლარი 22 თანამშრომლის ხელფასებზე დაიხარჯა და დარჩენილი 7,6 ათასი ლარი სხვა დანარჩენ ხარჯებზე მიიმართა, კერძოდ შეძენილი იქნა შეშა, რბილი ინვენტარი, და გაწეული იქნა სხვა საოფისე ხარჯი.

**ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი** არის სკოლიგარეშე სასწავლო დაწესებულება, რომლის მიზანია მოსწავლეების თავისუფალი დროის სწორად ორგანიზება, მოზარდთა შემეცნებით საგანმანათლებლო ღონის ამღლება და არაფორმალური განათლების პოპულარიზაცია. მოსწავლეთა სახლის მომსახურებით სარგებლობს 160 ბავშვი, მ. შ. სოფლის მოსწავლეები მარელისის, მოლითის, სადანძილის, ლელვანის, ბორითის და ვერტყვიჭალის სკოლებიდან. 2021 წლის 111,5 ათასი ლარის სუბსიდია სრულად იქნა ათვისებული, საიდანაც 23 თანამშრომელზე ხელფასების სახით დაიხარჯა 106,7 ათასი ლარი. 4,7 ათასი ლარი კი მოხმარდა სხვა დანარჩენ ხარჯებს. საკუთარი შემოსავლები მიიღო და დახარჯა 1,2 ლარი საქონელი და მომსახურების მუხლით.

**ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი** არის დაწესებულება, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებაში. რომლის მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში, რომელთაც აღმოაჩნდათ განსაკუთრებული ნიჭი და შესაძლებლობები. სპორტისა და ტურიზმის ცენტრი აერთიანებს 12 სპორტულ მიმართულებას, რომელსაც ემსახურება 67 თანამშრომელი, მათ შორის 27 მწვრთნელი.

ა(ა)იპ-ის 2021 წლის სუბსიდიის განისაზღვრა 376,0 ათასი ლარით, ათვისებული იქნა 373,9 ათასი ლარი, აქედან 339,9 ათ. ლარი ხელფასებს მოხმარდა, ხოლო 24,1 ათასი ლარი სხვა დანარჩენ ხარჯებს. წლის განმავლობაში მიიღი 9,7 ათ. ლარის საკუთარი შემოსავალი და დახარჯა 7,9 ათასი ლარი, რომელიც სხვა დანარჩენი ხარჯების დაფინანსებას მოახმარა. და ნაშთის სახით დარჩა 1,8 ათ. ლარი.

ა(ა)იპ -ის მიერ პირველ, მეორე, მესამე საპრიზო ადგილებზე გამარჯვებულ სპორტსმენებზე იცემა ფულადი ჯილდოები.

**ა(ა)იპ სამუსიკო სკოლის მიზანია** განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა. აქ დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 93 მავში. წლიური სუბსიდიის 125,0 ათასი ლარიდან ფაქტიურად აითვისა 122,1 ათასი ლარი, აქედან 18 თანამშრომლის სახელფასო ანაზღაურებაზე 119,2 ათ. ლარი და 3,4 ათ ლარი მიმართა სხვა დანარჩენ ხარჯებში. 2021 წელს მიიღო 5,1 ათ. ლარის საკუთარი შემოსავალი, საიდანაც დახარჯა 4,7 ლარი, რომელიც ძირითადად მოხმარდა საკლასო ოთახის რემონტს. წლის ბოლოს საკუთარი სახსრების ათვისებული ნაშთის სახით 2,4 ათ. ლარი დარჩა.

**ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრი** ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 1 კულტურის ცენტრი, 1 ისტორიული მუზეუმი, 25 ბიბლიოთეკა, ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი და რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი. 2021 წლის სუბსიდიის განესაზღვრა 674,0 ათასი ლარით, საიდანაც აითვისა 671,7 ათასი ლარი, აქედან 123 თანამშრომელზე გაიცა 616,2 ათასი ლარი ხელფასების სახით, 11,1 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების ზრდაზე დაიხარჯა, შეძენილია საბიბლიოთეკო წიგნები, მუსიკალური ინსტრუმენტი, კომპიუტერი და კომბინირებული პრინტერი. 44,4 ათასი ლარი სხვა დანარჩენ ხარჯებში არის მიმართული. ტრადიციულად განხორციელდა პროექტი, რომელიც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირების საზოგადოებასთან ინტეგრაციისა და სასწავლო-საგანმანათლებლო უნარების ჩამოყალიბებას, რომლის ბიუჯეტი განისაზღვრებოდა 11,8 ათას ლარით.

2021 წლის განმავლობაში ა(ა)იპმა მიიღო 0,9 ათასი ლარის საკ. შემოსავალი და მთლიანად დახარჯა სხვა დანარჩენ ხარჯებში.

**ა(ა)იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი** პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას. რისთვისაც ერთ-ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული საქმიანობის შესახებ. ამ პროგრამის განსახორციელებლად აღნიშნულმა ა(ა)იპ-მა გამოყოფილი 59,0 ათასი ლარიდან 58,983 ათ. ლარი აითვისა, საიდანაც 43,8 ათასი ლარი ხელფასებზე და 15,2 ათასი ლარი სხვა დანარჩენ ხარჯებზე დახარჯა.

**ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის** მიზანია მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება ა(ა)იპ-ს დამტკიცებული სუბსიდიის 130,4 ათასი ლარი კოვიდპანდემიის გამო გატარებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით გაეზარდა 21,0 ათასი ლარით და განესაზღვრა 151,4 ათ. ლარი, აითვისა 151,2 ათასი ლარი, საიდანაც 26 თანამშრომლის ხელფასებზე დახარჯა 132,9 ათასი ლარი, მ. შ. 9,8 ათასი ლარი ხაშური-ზესტაფონის სამეზავრო მატარებელზე კოვიდ რეგულაციების დასაცავად დაქირავებული ორი თანამშრომლის შრომის ანაზღაურებისათვის. 3,2 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების გაზრდაზე და შეძენილი იქნა კომპიუტერები, 15,1 ათასი ლარი სხვა დანარჩენ ხარჯებზე. საკუთარი შემოსულობები მიიღო 75,7 ათასი ლარი,

რომელიც სრულად იქნა ათვისებული, მათ შორის 68,7 ათასი ლარი ხელფასების, 5,1 ათ. ლარი სამედიცინო სახარჯო მასალების და 1,9 ათასი ლარი სხვა დარჩენილი ხარჯების დაფინანსებას მოხმარდა.

**ა(ა)იპ სათნოების სახლის მიზანია** ხარაგაულის მუნიციპალიტეტში უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მრავალშვილიანი ოჯახების კვირაში ექვსი დღე, დღეში ერთჯერადად კვება უფასო სასადილოში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ბენეფიციართა დახმარება საკვები პროდუქტებით. პროგრამის უფასო კვებით მოსარგებლეა 105 ბენეფიციარი. ხოლო ერთჯერადი დახმარებით 55 ბენეფიციარი. გასულ წელს სამ ადმინისტრაციულ ერთეულში დაემატა გამზადებული საკვების მიტანის სერვისი კვირაში ორი დღე 30 მოსარგებლისათვის. ა(ა)იპ -ს დამტკიცებული სუბსიდია 107,0 ათასი ლარი გაიზარდა 22,0 ათასი ლარით და განისაზღვრა 129,0 ათასი ლარით, საიდანაც ათვისებული იქნა 128,7 ათასი ლარით, მ. შ. 57,6 ათასი ლარი ხელფასებზე, 2,0 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების ზრადაზე, საიდანაც შეძენილი იქნა მოპედი, 60,7 ათასი ლარი კვების ხარჯებს მოხმარდა და დანარჩენი 8,4 ათასი ლარი სხვა დანარჩენი ხარჯების დაფინანსებაზე.

სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან დადებული მემორანდუმისა და ხელშეკრულების მიხედვით, ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამას გრანტის სახით მოხმარდა 20,7 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად სალოტბარო სკოლაში დასაქმებულ ორი მომუშავეს ხელფასებზე დაიხარჯა.